**ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა** წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული პერსონალის ერთიან მონაცემთა ბაზას. მისი მიზანია ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა შემუშავებული პოლიტიკისა და სტანდარტების შესაბამისად. eHMRS არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორის უწყებებისა და ორგანიზაციების პერსონალის მართვის ფუნქციის ახალ საფეხურზე გადაყვანას.







სისტემა იძლევა საბაზო საკადრო ადმინისტრაციის ფუნქციების ავტომატიზაციის საშუალებას. მასში გაერთიანებულია შემდეგი ფუნქციები:

- სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების მართვა;
- სტატისტიკური ინფორმაციის გენერაცია;
- თანამშრომლების შესახებ სრულყოფილი, მუდმივად განახლებული ელექტრონული ინფორმაციის არსებობა;
- თანამშრომლის დასწრებების აღრიცხვა;
- პერსონალის ხელფასის უწყისის რეესტრი;
- თანამშრომლის მივლინებების რესტრი;
- ძებნისა და ანგარიშგების მძლავრი მექანიზმი;
- ავტომატური შეტყობინებების გენერირების ფუნქციონალი;
- თანამშრომლის მონაცემების არქივირება;
- კლასიფიკატორთა მართვა

გათვალისწინებულია შერჩევის, შეფასების, სამუშაოს აღწერილობის, სწავლებისა და განვითარების, მართვისა და დროის აღრიცხვის მოდულების დანერგვა. დაგეგმილია eHMRS-ის სახელფასო და მივლინების მოდულების ინტეგრაცია ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან (eTreasury), ხოლო ბრძანებების მოდულის ინტეგრაცია საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემასთან (eDocument). ასევე სისტემას დაემატება მომხმარებლის მოდული (self-service), რაც თითოეულ თანამშრომელს საკუთარ მონაცემებზე წვდომისა და კადრების თანამშრომლებთან ინფორმაციის გაცვლის საშუალებას მისცემს.



სისტემის უპირატესობები:

- სიმარტივე და მოქნილობა მოხმარებისას;
- საკადრო საქმიანობის შესრულებაზე დახარჯული დროისა და რესურსების მნიშვნელოვანი ეკონომია;
- ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირება და მუშაობის ხარისხის ზრდა;
- ხელით შრომით გამოწვეულ შეცდომებსა და მონაცემებს შორის შეუსაბამობის რაოდენობის შემცირება;
- მენეჯმენტის სწორი გადაწყვეტილებების დროული მიღების პროცესის ოპტიმიზაცია

სისტემა შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობით, მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკისა და ქვეყნის საკადრო კანონმდებლობისა და მართვის მიღებული წესების გათვალისწინებით.



საჯარო სექტორში დასაქმებულთა ერთიანი მონაცემთა ბაზა

კადრების მართვის კომპიუტერული სისტემა

თანამშრომელთა პირადი ბარათი და სამუშაოს აღწერილობა ელექტრონულად

პერსონალის ხელფასის უწყისის შექმნის შესაძლებლობა


სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო
გორგასლის ქუჩა 16, თბილისი 0114, საქართველო

1551 1551@mof.ge www.ita.ge


# eHRMS

ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა

# ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა